ხაშურის მოამბე

№38 (459) 7 ოქტომბერი, ორშაბათი, 2024 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

3 ოქტომბერს, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი უძღვებოდა.

საკრებულომ იმსჯელა და ერთხმად დაუჭირა მხარი განკარგულების პროექტს „ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ალექსანდრესწყაროს განაშენიანების გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე“.

საკითხს წინ უძღოდა მერიაში ინიცირებული წინადადების - სოფელ ალექსანდრესწყაროს განაშენიანების გეგმის შემუშავების შესახებ მიღებული დადებითი გადაწყვეტილება, რომლის შემდგომ, შპს „ურბანიკას“ მიერ, შესაბამისი კვლევების საფუძველზე, მომზადდა სოფელ ალექსანდრეწყაროს ტერიტორიის განაშენიანების გეგმის კონცეფცია, რომლის მიზანია საფუძველი ჩაეყაროს სოფლის აღდგენას, კვლავ შეიძინოს საცხოვრებელი და სააგარაკე ფუნქცია. გარდა სამოსახლო ფუნქციებისა დაგეგმილია სოფელში მოეწყოს ორგანიზებული სარეკრეაციო სივრცეები.

პრეზენტაცია წარმოადგინა მერიის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილების ხელმძღვანელმა ლია ჯიქურაშვილმა .

სხდომას ესწრებოდნენ ინიცირების ავტორები, შპს „ალპასეს“ წარმომადგენლები, რომლებმაც დეტალურად უპასუხეს დასმულ შეკითხვებს.

მეორე საკითხად სხდომამ მოისმინა და დადებითად შეაფასა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ, 2024 წლის

ცხრა თვეში გაწეული მუშაობის ანგარიში, რომელიც სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, მარიამ ღონღაძემ წარმოადგინა.

მინდია ქურდაძე: ხაშურის 35-ე საოლქო-საარჩევნო კომისია მზადაა არჩევნების ელექტრონული წესით ჩასატარებლად...

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, ელექტრონული წესით ჩატარდება. როგორ მიმდინარეობს წინასაარჩევნო პროცესი, საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება, ამომრჩევლის ინფორმირება, რა სიახლეები და ცვლილებებია საარჩევნო წესში, ამ და სხვა ამომრჩევლისათვის საინტერესო თემებზე **მინდია ქურდაძე** - ხაშურის 35 - ე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გვესაუბრა.

- საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია მუდმივად ნერგავს საარჩევნო

ინოვაციურ ტექნოლოგიებს და პირველად საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებიჩატარდება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით. 2021 წლის აღცევნებზე ხაშურის ოლქში გვქონდა 52 საარჩევნო უბანი. ის უბნები, ცენტრები რომლებიც მდებარეობდა ერთმანეთთან ახლოს, გავაერთიანეთ, მოვახდინეთ ოპტიმიზაცია, ამჟამად გვაქვს 38 უბანი. აქედან 29 უბანზე ჩატარდება არჩევნები ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, 9 უბანზე კი ჩატარდება ძველი წესით. კანონში შევიდა ცვლილება და ჩაიწერა და

ჩამოყალიბდა შემდეგნაირად, რომ ახალი ტექნოლოგიებით არჩევნების ჩასატარებლად უბანი უნდა აკმაყოფილებდეს ორ პირობას. პირველი - მანძილი ოლქიდან უბნის ცენტრამდე არ უნდა აღემატებოდეს 20 კილომეტრს და მეორე - ამომრჩეველთა რაოდენობა უნდა იყოს 300 - ზე მეტი. ასეთ უბნებში, როგორც აღვნიშნე, არჩევნები ახალი ტექნოლოგიებით ჩატარდება, თუმცა ძველი ტექნოლოგიებით ჩასატარებელ უბნებსაც შეეხო სიახლე, კერძოდ, არჩევნების შემდეგ მოხდება ახალ ფორმატში ბიულეტენების გაციფრულება.

(დასასრული II გვერდზე)

შოთა ბარბაქაძე: ხაშურის იუსტიციის სახლში 500-მდე სერვისია ხელმისაწვდომი

23 ივლისიდან, ხაშურში ახალი იუსტიციის სახლი ფუნქციონირებს. თანამედროვე სტანდარტების შენობაში, მოსახლეობას, ერთ სივრცეში, 500-მდე სერვისის მიღება შეუძლია. დამეთანხმებით, რამხელა კომფორტია, როდესაც ქალაქიდან გაუსვლელად, იღებ ყველა შენთვის საჭირო მომსახურებას. გარდა სერვისებისა, შენობა ბოლომდე ადაპტირებულია ნებისმიერი საჭიროების ადამიანისთვის. სერვისებზე და სხვა მნიშვნელოვან სიახლეებზე, ხაშურის იუსტიციის სახლის მენეჯერს, **შოთა ბარბაქაძეს** ვესაუბრეთ:

-მოგეხსენებათ, იუსტიციის სახლს აქვს 121 ფილიალი საქართველოს მასშტაბით. ხაშურის ფილიალი, ყველაზე ბოლოს გაიხსნა და მიზანი იყო, ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობასაც ჰქონოდა შესაძლებლობა, სახელმწიფო და კერძო სერვისები მიეღო კომფორტულ და მოწესრიგებულ გარემოში, რომელიც ადაპტირებული იქნებოდა სპეციალურ საჭიროების პირებზე. ამ ეტაპზე, იუსტიციის სახლში, 500-მდე სერვია ხელმისაწვდომი. ძირითადი სერვისები არის იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული უწყებების-საჯარო რეესტრი და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსი. ჩვენთან ასევე შესაძლებელია აღსრულების მიმართულებით მომსახურების მიღება, ეროვნული არქივის მიმართულებით, ნოტარიატის მიმართულებით და კერძო სერვისები.

-რატომ დადგა დღის წესრიგში, ხაშურში ასეთი მასშტაბური სივრცის აშენება?



-როგორც გახსოვთ, კონკრეტული მიმართულებით იყო სივრცე გამოყოფილი მუნიციპალიტეტში, მხოლოდ საჯარო და სამოქალაქო რეესტრის მიმართულებით ხორციელდებოდა მომსახურების მიწოდება მოქალაქეებისთვის და ისეთი მასშტაბის მუნიციპალიტეტისთვის, როგორიც ხაშურია, ვერ ხდებოდა

(დასასრული III გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება № 51

2024 წლის 3 ოქტომბერი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ალექსანდრესწყაროს განაშენიანების გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე

დაპროექტების საფუძველს წარმოადგენს 2022 წლის 5 დეკემბერს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში ინიცირებული სოფელ ალექსანდრესწყაროს განაშენიანების გეგმის შემუშავების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. შპს „ალპასე“-მ კონტრაქტორ კომპანია „ურბანიკა“-სთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება თავისი წვლილი შეეტანათ და ხელი შეეწყოთ თითქმის მოსახლეობისაგან დაცლილი სოფელ ალექსანდრესწყაროს აღდგენა-აღორძინების საქმეში. ამისათვის საჭირო გახდა განაშენიანების გეგმის შემუშავება მთის კალთაზე შეფენილი ტერიტორია კლიმატური კურორტია. მისი განსაკუთრებული ადგილმდებარეობა და სხვადასხვა ჰაერშენაკადების თანხვედრა ქმნის უნიკალურ მიკროკლიმატს, რასაც განსაკუთრებულად ხელს უწყობს მარადმწვანე ხეების და სხვა დენდროლოგიური კომპონენტების, მცირე მდინარეების, წყაროებისა და ჩანჩქერების არსებობა. სოფლის განვითარება ხორციელდება სანიტარიული დაცვის ზონებისა და შესაბამისი რეჟიმების გარეშე. მოუწესრიგებელია ადმინისტრაციული ცენტრი და საზოგადოებრივი სივრცეები, აუცილებელია გაუმჯობესდეს არქიტექტურულ-ესთეტიკური იერსახე, არ არსებობს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის ზონები, გასათვალისწინებელია შეუსაბამო სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურა. კურორტის განვითარება ხდება არაგეგმიურად და უსისტემოდ, რაც ზღუდავს მნიშვნელოვანი და ღირებული ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას, დამსვენებლთა და ტურისტული ნაკადების ზრდადობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ურბანიკა“-მ, შესაბამისი კვლევების საფუძველზე, მოამზადა სოფელ ალექსანდრესწყაროს ტერიტორიის განაშენიანების გეგმის კონცეფცია, განაშენიანების გეგმის მომზადების მიზანია საფუძველი ჩაეყაროს სოფლის აღდგენას,კვლავ შეიძინოს საცხოვრებელი და სააგარაკე ფუნქცია. გარდა სამოსახლო ფუნქციებისა დაგეგმილია სოფელში მოეწყოს ორგანიზებული სარეკრეაციო სივრცეები, მინი სპორტული მოედნები, სოფელი უზრუნველყოფილი იყოს საინჟინრო კომუნიკაციებით, თანამედროვე საყოფაცხოვრებო ობიექტებით. აგრეთვე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადებულია განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნა.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ე.დ) ქვეპუნქტის, 61-მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 42-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, აგრეთვე, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობისთი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N 260 დადგენილების, შპს „ურბანიკა“-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

დამტკიცდეს, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ალექსანდრესწყაროს განაშენიანების გეგმის კონცეფცია წარმოდგენილი დანართი N1-ს მიხედვით;

დაევალოს შპს „ურბანიკა“ -ს სოფელ ალექსანდრესწყაროს განაშენიანების გეგმის პროექტის შემუშავება დამტკიცებული კონცეფციის შესაბამისად.

დაევალოს შპს „ურბანიკა“ -ს უზრუნველყოს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის მომზადება სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;

განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას;

განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

განკარგულება გამოქვეყნდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge ;

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

ნინო ლიპარტელიანი,

საკრებულოს თავმჯდომარე

მინდია ქურდაძე: ხაშურის 35-ე საოლქო-საარჩევნო კომისია მზადაა არჩევნების ელექტრონული წესით ჩასატარებლად...

(დასასრული)

- ბატონო მინდია, რომელია ის 9 უბანი, სადაც არჩევნები ძველი წესით ჩატარდება?

ეს არის ალი. ალში, გარდა იმისა, რომ ამომრჩეველთა რაოდენობა 1000 უტოლდება, დაშორება ოლქიდან არის 22 კილომეტრი და დარჩა ისევ საარჩევნო ძველი ტექნოლოგია. ასევე ბრილი, ქინძათი, ბროლოსანი, წაღვლი, ტკოცა,

ფლევი, ყელეთი და ხალები. აქ, ყველგან არჩევნები ჩატარდება ძველი წესით.

ცეესკომ, საარჩევნო ადმინისტრაციამ იზრუნა იმაზე, რომ ახალ ტექნოლოგიებთანდაკავშირებით,გავსულიყავით,შევხვედროდითამომრჩევლებს და ჩაგვეტარებინა ფართომაშტაბიანი საინფორმაციო შეხვედრები ახალი ტექნოლოგიების გასაცნობად. შევხვდით ქალაქის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებს, რკინიგზის სამმართველოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და დაცვის პოლიციის დანაყოფებს, სკოლისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგებს, ა(ა)იპ -სა და სსიპ - ის მრავალ წარმომადგენელს, სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს, მთლიანობაში 2500 - ზე მეტ მოქალაქეს.

ასევე საარჩევნო ადმინისტრაცია ზრუნავს იმაზე, რომ პოტენციურ უბნის კომისიის წევრებს ჩაუტარდეთ ადმინისტრატორის კურსებისა და ცესკოს განვითარების სკოლის ტრენინგები, სადაც ცესკოს სწავლების ტრენერებმა კვალიფიციური ცოდნა გადასცეს მონაწილეებს. ამავე დროს, ამომრჩევლებს საშუალება ეძლეოდათ, მონაწილეობა მიეღოთ იმიტაციურ არჩევნებში. იმიტაციური არჩებვნები ჩატარდა 7 უბანზე და შემოწმდა საარჩევნოო აპარატების გამართულობა. აპარატურამ თავი კარგად გაართვა. დაფიქსირდა მაქსიმალური სიზუსტე ხელით დათვლასა და პიკოსის აპარატურიდან ამოღებულ ქვითრებს შორის.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შუალედური არჩევნები ჩაატარა გორში, კასპში, სენაკში, აბაშაში, თბილისი ოლქებში და ხმის მთვლელი აპარატიდან ამოღებული ქვითრის მონაცემები ერთი ერთში დაემთხვა ხელით გადათვლილ შედეგებს, ფაქტიურად სხვაობა არ ყოფილა. შეიძლება ითქვას, რომ არჩევნების ჩატარებამ ელექტრონული საშუალებების გმოყენებით მოგვცა უბნებზე ნაკლები რიგები, ხმის მიცემის პროცედურის გამარტივება, ამომრჩეველთა აქტივობების და გენდერის ინფორმაციის ოპერატიული მიწოდება, ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომები მინიმუმამდეა დაყვანილი, შედეგების წინასწარი მონაცემები ცესკოსთვის მცირე დროშია ცნობილი, ობიექტურობა და სხვა.

- ბატონო მინდია, როგორც ცნობილია, ოფიციალურად უკვე გამოცხადდა წინასაარჩევნო პროცესის დაწყება და როგორ მიმდინარეობს საარჩევნო უბნების მზადება არჩევნებისათვის?

- არჩევნები გამოცხადდა 27 აგვისტოს, 60 დღით ადრე. ჩვენ 1 სექტემბერს შევიკრიბეთ და გამოცხადდა ხაშურის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების და წევრების შესარჩევი კონკურსი. 7 სექტემბერის სხდომაზე დავაკომპლექტეთ ყველა საარჩევნო უბანი. ავირჩიეთ კომისიის ხელმძღვანელი პირები და წევრები. პარტიებმაც დანიშნეს უბნებზე კომისიის წევრები და 26 სექტემბრიდან უბნება დაიწყეს ფუნქციონირება. კომისიების დაკომპლექტების წესშიც არის სიახლე. თუ გასულ პერიოდში პირველ სხდომებზე თავად ირჩევდნენ საარჩევნო კომისიის წევრები ხელმძღვანელ პირებს, ამჟამად საოლქო კომისია ირჩევს მათ, ყველა უბანზე კომისიის თავმჯდომარეს, მოადგილეს, მდივანს და წევრებს, 8 ადამიანს. უბნებმა უკვე გამართეს პირველი სხდომები. ყველა უბანზე გამოკრულია ამომრჩეველთა სიები. კომისიის წევრები არიგებენ ამომრჩევლის ბარათებს, აზუსტებენ გადასატანი ყუთის სიებში შეტანილ ამომრჩეველთა მონაცემების სისწორეს, უტარდებათ ტრენინგების 5 ეტაპი.

თქვენ ისაუბრეთ გადასტანი ყუთის შესახებ. იმ დროს, როდესაც არჩევნები საარჩევნო უბნების უმრავლესობაში ჩატარდება ახალი ტექნოლოგიებით, ამომრჩევლისათვის საინტერესო იქნება, როგორი წესი იმოქმედებს გადასატან ყუთთან დაკავშირებით? ეს არის ამომრჩევლის მიერერთ-ერთი ხშირად დასმული შეკითხვა.

ასეთ შემთხვევაში, უბანზე გადის ჩვეულებრივ პატარა ყუთი, და არა პიკოსის, ხმის მთვლელი აპარატის ყუთი და იქიდან უბანზე შემოსული ბიულეტინების შეცურება ხდება პიკოსის აპარატში. უფრო ზუსტად: უბანზე დაბრუნებული გადასატანი ყუთი იხსნება, ამოვა ყველა ბიულეტინი, რომლებიც მოთავსებულია კონვერტებში, რომ არ გამოჩნდეს ამომრჩევლის ნება, შემდეგ ტრიალდება კონვერტი, იხსნება და შედის პიკოსის აპარატში. ხმის მიცემის ფარულობას უზრუნველყოფენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები.

- მკითხველისთვის, რომ განვმარტოთ, ხმის დათვლის პროცესი იქნება მხოლოდ ელექტრონული? კიდევ რა დამატებითი მექანიზმი იქნება დათვლილი მონაცემების სანდოობისათვის?

- როგორც იცით, შედეგებს ითვლის პიკოსის ხმის მთვლელი აპარატურა და გადამოწმების მიზნით, იმისათვის, რომ შევამოწმოთ რამდენად სწორად დაითვალა ხმის მთვლელმა აპარატურამ ხმები, იხსნება ყუთები და ითვლება ხელით. ეს პროცედურა განხორციელდება ყველა უბანზე, სადაც ახალი ტექნოლოგიებით ჩატარდება არჩევნები. შდარდება ხელით დათვლილი მონაცემი პიკოსიდან ამოღებულ ქვითართან. მაგრამ აქ არის ერთი შენიშვნა: პიკოსიდან ამოღებულ ქვითარზე არსებული მონაცემები არ შეიცვლება. ხელით გადათვლა ხდება გადამოწმების მიზნით.

- საუბრის დასასრულს, მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენოთ, როდის არის დანიშნული არჩევნები და მოკლედ, რა პროცედურას გაივლის საარჩევნო უბანზე მისული ამომრჩეველი?

- რა თქმა უნდა. 2024 წლის არჩევნები ჩატარდება 26 ოქტომბერს, შაბათ დღეს. ამომრჩევლებისათვის სარჩევნო უბნები გაიხსნება დილის 8 საათზე. უბანზე მისული ამომრჩეველი ნაკადის მომწესრიგებელს წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, იგი შეამოწმებს გავლილი აქვს თუ არა მარკირება, ცხადია, არ უნდა ჰქონდეს მას მარკირება გავლილი, შემდეგ მიდის რეგისტრატორთან. თუ პირადობის მოწმობას აქვს ხარვეზი, რეგისტრატორს ვერიფიკაციის აპარატზე ხელით შეჰყავს ამომრჩევლის პირადი ნომერი, რა დროსაც ვერიფიკაციის აპარატზე ჩნდება ამომრჩევლის პირადი მონაცემები, გენდერი. რეგისტრაციის წარმატებით გავლის შემდეგ, ამომრჩეველს გადაეცემა საარჩევნო ბიულეტენი, გააფერადებს საცდელ წრეს და როდესაც რეგისტრატორი დარწმუნდება, რომ ამომრჩეველმა პროცედურა გაიარა, შედის კაბინაში, გააფერადებს მისთვის სასურველ წრეს და არა შემოხაზავს. მიდის ხმის მთვლელ აპარატთან და აცურებს მასში ბიულეტენს. დაელოდება რამდენიმე წამის განმავლობაში და როდესაც პიკოსის აპარატზზე გაჩნდება წარწერა,“თქვენი ხმა მიღებული, ამომრჩეველი მხოლოდ ამის შემდეგ ტოვებს საარჩევნო უბანს.

ჩვენის მხრივ, კვლავ მოვუწოდებთ ამომრჩევლებს მივიდნენ საარჩევნო უბანზე და გადაამოწმონ თავიანთი თავი სიებში.

თ. ახალკაცი

შოთა ბარბაქაძე: ხაშურის იუსტიციის სახლში 500-მდე სერვისია ხელმისაწვდომი

(დასასრული)

სერვისების კომფორტული მიწოდება მოსახლეობისთვის რიგი მიზეზების გამო. დღეისათვის, 500-მდე სერვისია უკვე ხელმისაწვდომი, გაიზარდა კვალიფიციურ თანამშრომელთა რიცხვიც და აქ მოსულ მოქალაქეს, აღარ უწევს დაუსრულებელ რიგში ყოფნა და დამატებითი სერვისის მისაღებად სხვაგან წასვლა.



-როგორც აღნიშნეთ, გაზრდილია როგორც საჯარო სექტორების სერვისები, ასევე კერძო კომპანიის სერვისებიც, რომლის მიღებაც მოსახლეობას, ქალაქიდან გაუსვლელად შეუძლიათ.

- რაც შეეხება სერვისებს, დაემატა ისეთი საჭირო სერვისი, რომელიც აქამდე ხაშურში არ იყო, ესაა შინაგან საქმეთა სამინისტროს სერვისი-ცნობა ნასამართლობის შესახებ, რომელიც აქამდე ზოგადად, ხაშურში არ იყო. ძალიან დიდი მომართვიანობა გვაქვს და მოსახლეობისთვის დიდი კომფორტია, როცა ცნობისთვისქალაქიდანაღარუწევთგასვლა,აქვე,აღვნიშნავსაპენსიოსააგენტოს სერვისს დაგროვებითი პენსიის შესახებ, დაინტერესებულ პირებს, შეუძლიათ, მიიღონ ნებისმიერი ინფორმაცია ამ თემასთან დაკავშირებით, აგრეთვე, კომუნალურ გადასახადებთან დაკავშირებითაც შეუძლიათ მოგვმართონ, გვაქვს თავდაცვის სამინისტროს სერვისი-საკონტრაქტო სამსახურთან დაკავშირებით შეუძლიათ განაცხადის გაკეთებაც-ეს დამატებითი სერვისებია, რომლის საშუალებაც ახალმა იუსტიციის სახლმა მოგვცა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენთან მოწყობილია ქორწინების დარბაზი, რომელიც გახსნის დღიდან ფუნქციონირებს, უკვე მოგვმართა რამდენიმე წყვილმაც.

-ძალიან დიდ მოწონებას იმსახურებს იუსტიციის სახლის შენობაც, რომელიც ფაქტობრივად, მეორედ აშენდა.

-დაახლოებით ორი წელია, რაც იუსტიციის სახლის მშენებლობა მიმდინარეობს, დღეისათვის, შენობის სიმყარეც და ვიზუალიც თანამედროვე სტანდარტების დაცვით აშენდა. გათვალისწინებულია ყველა ნორმა და ყველა ადამიანის საჭიროებაზეა მორგებული. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი სერვისით სარგებლობის შემდეგ, მოქალაქეები ადგილზევე ახდენენ მომსახურების საფასურის გადახდას, რისი შესაძლებლობაც ადრე არ იყო და უწევდათ სხვა ბანკში გასვლა-ახლა ეს შეუძლიათ რამდენიმე ფორმით. ანუ, მოქალაქე, რომელიც მოდის იუსტიციის სახლში, მას ამ სივრცეში შეუძლია გაიაროს ყველა მისთვის საჭირო პროცედურა და ეს კომფორტი მას აქვს როგორც სერვისების მიწოდების კუთხით, ისე ინფრასტრუქტურულად.

-ამ ეტაპზე, რამდენი კადრია დასაქმებული და მათი კვალიფიკაციის დონე როგორია?

-მინდა აღვნიშნო, რომ იუსტიციის სახლის გახსნა, იმ მხრივაცაა კარგი, რომ ადგილობრივი კადრებითაა დაკომპლექტებული, 20-ადამიანია დასაქმებული. იუსტიციის სახლი, თავისი დამოკიდებულებით, კომფორტული გარემოთი, უწყვეტი განვითარების შესაძლებლობებით, ყოველთვის სასურველია. ჩვენთან დასაქმებული ადამიანები განაწილებულნი არიან კონკრეტული მიმართულებებით. იმისათვის, რომ ჩვენს თანამშრომლებს შესაბამისი კვალიფიკაცია ჰქონოდათ, შვიდი თვის განმავლობაში, ინტენსიურ რეჟიმში ხდებოდა მათი გადამზადება, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მიმართულებით.ამასთანავე,პროფესიულცოდნასთანერთად,მნიშვნელოვანია, თანამშრომლებს ჰქონდეთ შესაბამისი კომუნიკაციის უნარები და ამ მხრივაც, მოხდა მათი გადამზადება.

-მოსახლეობის დამოკიდებულება და შეფასებები როგორია?

- გარდა ამისა, იუსტიციის სახლი, დიდ ყურადღებას აქცევს მოქალაქეთა შეფასებებს და თითოეულ შენიშვნას შესაბამისი რეაგირება აქვს. სხვადასხვა არხები არსებობს, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ თავიანთი მოსაზრებები, შენიშვნები დააფიქსირონ. ჩართულობა ძალიან კარგია. უშუალოდ, დარბაზში ასევე გვაქვს მომხმარებლის ხმის ყუთი, ნებისმიერ მოქალაქეს ამ ფორმითაც შეუძლია დააფიქსიროს თავისი კარგი ან ცუდი გამოცდილება, ან რეკომენდაცია. არსებობს სხვა ალტერნატივებიც ამისთვის. ეს გვაძლევს შეფასების საერთო სურათს მომსახურების ხარისხზე.

მინდა აღვნიშნო, რომ თანამშრომელთა უწყვეტი განვითარება ჩვენი პრიორიტეტია. რამდენიმეწლიან თანამშრომლებთანაც უწყვეტი გადამზადების პროცესებია, რადგან ინტენსიურად ხდება საკანონმდებლო ცვლილებები და ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, გავყვეთ ცვლილებებს. მადლიერება მინდა გამოვხატო თანამშრომლების მიმართ, რომლებიც ერთ გუნდად ჩამოყალიბდნენ და ერთიან საქმეს ვაკეთებთ, პროფესიულად და მზად ვართ, უწყვეტი განვითარებისთვის და სწავლისთვის.

-მომართვიანობა როგორია, დაახლოებით, რამდენ ადამიანს უწევთ მომსახურებას, დღის განმავლობაში?

-22ივნისიდან დავიწყეთ მოქალაქეთა მიღება, დღეში, დაახლოებით 350-400 მოქალაქეს ვემსახურებით, რაც დამეთანხმებით, საკმაოდ მასშტაბურია

ბუნებრივია, იუსტიციის სახლის აშენების მთავარი მიზანი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის კომფორტული, ერთიანი სივრცის შექმნაა, თუმცა, სერვისის მიღება, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია. ზაფხულში, სურამში დამსვენებლები მოგვმართავდნენ. ნებისმიერი გამოწვევისთვის მზად ვართ, მივიღებთ შენიშვნებს, მოვუსმენთ და გავიზიარებთ ნებისმიერ გამოცდილებას, მზად ვართ კომუნიკაციებისთვის, რადგან პრიორიტეტი, ჩვენი მოსახლეობისთვის სწრაფი და ხარისხიანი მომსახურების შეთავაზებაა.

თ. ჯავახიშვილი

ლესია უკრაინკას სახელობის მუზეუმ-ბიბლიოთეკის რეკონსტრუქცია დასკვნით ეტაპზეა

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, დაბა სურამში, ლესია უკრაინკას სახელობის მუზეუმ-ბიბლიოთეკის ბოლო ეტაპის სარესტავრაციო სამუშაოები

მთავრდება.

არქიტექტორ-რესტავრატორებისა და კონსტრუქტორების ზედამხედველობით ამ დროისათვის სარდაფში მიმდინარეობს სამღებრო სამუშაოები; მთავრდება მუზეუმ-ბიბლიოთეკის ტერიტორიის კეთილმოწყობა.

რეაბილიტაციის გეგმით უკვე შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: ქანობიანი და ბრტყელი სახურავის მოწყობა; სართულშუა გადახურვის მოწყობა; შიდა და გარე კედლების ამოყვანა; კარ-ფანჯრების მონტაჟი; საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობა და ღობის შეღებვა.

ლესია უკრაინკას სახელობის მუზეუმ-ბიბლიოთეკას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 2019 წელს მიენიჭა და ვინაიდან შენობა მძიმე ავარიულ მდგომარეობაში იყო, იმავე წელს შესყიდული იქნა ძეგლის რეკონსტრუქციის პროექტი. ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ შენობის შენარჩუნება შეუძლებელი იყო და ძეგლი უნდა დაშლილიყო აღდგენის მეთოდით.

ძეგლის რეკონსტრუქცია 2020 წლიდან დაიწყო. პირველ ეტაპზე, 2020 წელს, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული

(დასასრული V გვერდზე)

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36)

გიო გრძელაშვილის კალო - ადგილი; დაფიქსირებულია დავითა გრძელაშვილის მიერ 1861 წლის 18 სპრილს გაბრიელა ფასუაშვილისათვის მიცემულ ნასყიდობის წიგნში: ,,...გორის უეზდის სურამის უჩასკის სოფელს სურამშივე მცხოვრებელმა სახემწიფო ყმამ დავითა ნონიას ძე გრძელაშვილმა და შვილმა ჩემა იოვანემა და ყოველმა სახლისა ჩემისა მომავალთ, მოგეცით ესე მტკიცე და უცილობელი ნასყიდობის წერილი თქვენ, ამავე სურამში მცხოვრებელთ სახემწიფო ყმას გაბრიელა ბერელას ძე ფასუაშვილს და ძმისწულსა და შვილებსა შენსა გიგოსა, მირიანსა, ფარსადანს, როსტომას, ზაქარიას და იოვანესა და მამავალსა სახლისას თქვენისასა. ასე რომ რომელ მოგყიდე ორას მანეთ თეთრს ფულად ჩემდა მამა-პაპათაგან დანაშთი, ჩვენგანაც ნასყიდი ძველათ თოთინაშვილისეული სასახლე-ალაგი მდებარე ამავე სურამსა შინა. ამ ალაგის სამძღვრები არის: აღმოსავლეთის მხარეს ჩემის სახლისკაცის გიო გრზელაშვილის კალოს მიდგმამდინ, დასავლეთის მხარეს გზამდინ, სამხრეთის მხარეს გიგოლა ზაქრაშვილის კალოს მიდგმამდინ, ჩრდილოეთის მხარეს შარამდინ“.

გორათის მიწა - ადგ; სახნავი, სათესი. დაფიქსირებულია XIX ს-ის 50-იანი წლების საბუთში. ტარიელ ხიდირბეგიშვილმა აქ მიწა მიჰყიდა დავით მეღორიშვილს. საბუთში ნათქვამია: ,,...ნასყიდობის წიგნი და სოიგელი დაგიწერე და მოგეცით მე, სურამში მცხოვრებელმა თავადმა ამილახვარმა ხიდირბეგიშვილმა ტარიელ ტარიელის ძემმა, შვილმან ჩემან ....., მამავალმა სახლისამან ჩემისამან შენ, სურამში მცხოვრებელსა მეღორისშვილსა დავითისა, ძმასა შენსა გაბრიელსა და ფარსადანსა, შვილსა თქვენსა ბაღდასარასა და სახლისა მომავალსა თქვენისათა. მაჟამს ოდეს დამჭირდა და მოგყიდე ჩემი ყმისეული ბაიასშვილის პატასეული ბარათში ნარგები გორათის მიწა ოთხის დღისა. გვერზე აღმოსავლითიკენ ისხაკი[ს] მ[ი]დგმა, დასავლეთ გზამდინა, ბოლოს წვერიანაშვილის მიწის მიდგმამდინა, თავს ავალიშვილის კაცი გოგოლაშვილი დავითის მიწის მიდგმამდინა“.

გრძელასშვილის ვენახი - ადგ; ვენახი. ფიქსირდება მამულა ბერიკასშვილის მიერ მურვან მურვანიშვილისათვის 1743 წლის მარტის დამდეგს მიცემული ვენახის ნასყიდობის საბუთში: ,,...ესე... ნასყიდობის წიგნი და პირი დაგიწერე და მოგეც მე, ბერკასშვილმა მამულამა და ჩემა შვილისშვილმა მარდეხამა და მომავალმა სახლისა ჩვენისამა თქვენ, მურვანისშვილს მურვანასა და ძმასა თქვენსა ბაკასა და რევაზს, შვილსა თქვენსა და მამავალსა სახლისა თქვენისათა. ასე და ამა პირთა ზედა, რომე დამეჭირა და მოგყიდე ჩვენი სამკვიდრო ვენახი თქვენის ვენახის გვერდზედა ჩემი წილი. თავს გრძელასშვილის ვენახის მიდგმამდი, ბოლო ჯობაძემდინ, იქით რაც აუშენებელი მინდორი არის, სამანიცა ზის თავსაცა და ბოლისაცა. სამანს იქით მე ხელი არა მაქს, ჩემის ბიძასშვილის არის ყობიასი, არის გვერდით ჩირგვებამდი, იმის მიდგმამდი“

დიმიტრის წყარო - წყარო

ებრაელების უბანი - უბანი

ზე სურამი - ადგილი, იგივეა რაც ზემო სურამი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იგულისხმებოდეს გვერდისუბანი. 1584 წლის ახლოს დოროთეზ კათალიკოზი იტრიის ღვთისმშობლის ეკლესიას ზე სურამში სწირავს ბურთიაშვილებს, გვერეხაშვილებს და შიშნაშვილებს. საბუთში ნათქვამია: ,,ზე - სურამს ბურთიაშვილნი, ორნი განაყოფნი, მათის შვილებითა და მომავლითა; კიდევ ზე – სურამს გვერეხაშვილი იოვანე მისის შვილებითა და მომავლითა; კიდევ შიშნაშვილი ბეჟიტა, მისი ღვინიასეული მამულითა და მისის შვილებითა და მომავლითა”.

ამ გვარებიდან 1715 წლის რუისის სამწყოს დავთრის მიხედვით გვერდისუბანში დასტურდება გვერეხაშვილის ოთხი ოჯახი: გვერეხაშვილი ბერი, გვერეხაშვილი კიდევ ბერი, გვერეხაშვილი დათუნა, გვერეხაშვილი შოშიტა. 1734 წლის 10 ივნისს ბაქარ მეფემ ზურაბ ჩარექიშვილს ზე-სურამში უბოძა ,,კანჭაშვილი თავისის მამულითა“: ,,...მეფემ პატრონმან ბაქარ და თანამეცხედრემან ჩვენმანა, არაგვის ერისთავის ასულმან პატრონმან ხანუმ და ძმამან ჩვენმან პატრონმან გიორგიმ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩემმან ლევან და ალექსანდრემ, თქვენ ჩვენთა ერთგულთა და მრავალგვარად გარჯილსა და ნამსახურს ყმათ, ჩარექიშვილს ზურაბს, ფარსადანს და დავითს. ასე რომე ჟამთა ვითარებისაგან რუსეთს წავედით და თქვენ ორნივ ძმანი ზურაბ და დავით თან გვეახელით და რაცოდენ ძალგედვათ გვემსახურეთ. ამა თქვენისა მრავალ მსახურობის სანუქბოდ მოხვედით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და წყალობას დაგვეაჯენით. ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ზე სურამს შენი მემკვიდრე ყმა კანჭაშვილი თავისის მამულითა და სურამს ბებიაშვილის ამოვარდნილის ფეშრუკას კერძი მამული რისაც მქონებელი ყოფილიყოს“.

ზინდისი - ადგ; უბანი, ძველი სოფელი

ზინდისის კლდე - ადგ., კლდე

თურუზაული - ადგ; სახნავი, სათესი. დაფიქსირებულია XVIII საბუთში. ეს მამული არუწა არუწაშვილმა ძამა ბექუტაშვილა მიჰყიდა. საბუთში ნათქვამია: ,,...ნასყიდობის წიგნი და პირი მოგეც მე, არუწაშვილმან არუწამან, გოგიამან, ბაინდურამან, ბარილურამ და როსტომამან, შენ, ბექუტაშვილს ძამასა და მამუკასა და სვიმონასა, შვილთა თქვენთა რამაზსა და თამაზასა, ზაზუტასა და დათუნასა. ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ხელმწიფეთაგან სიგლით ნაბოძვარი მქონდა მამული თურუზაული. აწე მოგყიდეთ თურუზაული, სასახლე მისის ნაფუზვრით. ასრე რომე ზეით ჯობიაშვილის მიდგმამდი, გვერდზედ დაიწურაშვილისა და ბიბილაშვილის ვენახის მიდგმამდი..., იქით წყლამდი, ბიბილაშვილისა მიწის მიდგმამდი...“.

იმერეთის გზატკეცილი - გზა

ისრაელთ სასაფლაო - ადგ; სასაფლაო. იხ. მურმანისშვილის ნაზვრევი. კაკალათხევი - ადგ., ნასოფლარი აღმოსავლეთით. მომდინარეობს კაკალაშვილების გვარიდან. კაკალაშვილი ბერი 1791 წელს სურამის მამასახლისია.

კაკალათხევის დასახლება - უბანი დაბის აღმოსავლეთ ნაწილში

კაკალათხევის სასაფლაო - ადგ., სასაფლაო აღმოსავლეთ ნაწილში.

კაკალათხევის სერი - ადგ., სერი აღმოსავლეთის მხარეს.

კაკალათხევის სერის გზა - გზა

კაკონაშვილის კალო - ადგ; კალო. დაფიქსირებულია 1805 წლის 6 ნოემბრის საბუთში. ხეროდინაშვილმა მამასახლისმა სტეფანემ [არუწა]სშვილს გაბრიელს წყალგაღმა მიჰყიდა ,,სამკვიდრო სასახლე“ ,,თავს კაკონასშვილის კალოს მიდგმამდინ“, ,,მეორე გვერდი კიდევ კაკონაშვილისკენ შარამდინ“.

ამავე საბუთს ემოწმება კაკონაშვილი აღა.

კანჭიური - ადგ; სახნავი, სათესი. ფიქსირდება 1851 წლის 8 ოქტომბრის საბუთში. ,,...ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეცი მე, სურამში მცხოვრებელმ[ა] თავად ლევან ხიდირბეგოვის ძემ ვახტანგმა და შვილმა ჩემა ლევანმა, შე[ნ], ცხრამუხაში მცხოვრებელსა ნინია კოპაძესა და ფრიდონასა, ძმასა შენსა პეტრესა, დათუასა, პავლესა, თომასა. დამჭირდა და მოგყიდე ჩემი სამკვიდრო კანჭიურში მდებარე მიწა ოთხი დღის ზომითა. აღმოსავლეთი მხარესა ჩემი ბიძაშვილი ტარიელის მიდგმამდი, დასავლეთი მხარეს ჯობაძის მიდგმამდი, იქით გვერდზედ ისევ შენ მიდგმამდი, აქეთ გვერდი ჩემი ბიძაშვილი ყარამანის მიდგმამდი“. სახელწოდება მომდინარეობს კანჭაშვილის გვარიდან. 1715 წლის რუისის საწყმსოს დავთრში გვარი (კანჭაშვილი დარჩია) ფიქსირდება ბეკამში კარიერი - ადგ., კარიერი

კვართისა - ადგილი, ძველი ნასოფლარი დასავლეთის მხარეს. 1584 წლის ახლოს დოროთეზ კათალიკოზმა იტრიის ღვთისმშობლის ეკლესიას შესწირა ,,კუართისას ტუკაძე როსტევანი მისის შვილებითა და მომავლითა; კიდევ კუართისას ბაწუნწელაშვილი დათვიაი საზვერლისეულის მამულითა“.

კვახიაშვილის ვენახი - ადგილი; იხ. ოთეღაშვილის ვენახი

კვინიკაძის ოთიას მიწა - ადგ; იხ. ურიების ნასახლარი.

კვირაცხოველი - ადგ., სალოცავი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს.

კვირაცხოველის სერი - ადგ., სერი

კლდის უბანი - ადგ; უბანი. აქ აზნაურმა ილია მურვანიშვილმა 1866 წლის 18 აპრილს სასახლის ადგილი მიჰყიდა გოგოლა ჩადუნელს: ,,...სოფელს სურამს მცხოვრებელთ აზნაურმა ილია და დიმიტრი მურვანოვებმა და ყოველმა სახლისა ჩვენისამა მომავალთა, მოგეცით ესე ყოვლისა პირისა უდაო და უცილებელი ნასყიდობის წერილი თქვენ, ამავე სურამშივე მცხოვრებელთ გოგოლა და პავლე გოგიას ძეთ ჩადუნელსა და გიგოლა სილაქაძესა და ყოველთა მომავალთა სახლისა თქვენისათა. მას ზედა დაგვეჭირა და მოგყიდეთ... ჩვენი მამა-პაპისაგან დანაშთი სამკვიდროებით კუთვნილი ყოვლისა პირისა უდაო და უცილობელი ამავე სურამსა შინა კლდის უბანში სასახლის ადგილი. აღმოსავლეთით შარა გზა, დასავლეთით აზნაურის გიგო მურვანიშვილისა და ფარსადან გრძელოვის ადგილის მიდგმამდინ, სამხრეთით აზნაურის იასე მურვანიშვილის და გზის მიდგმამდინ, ჩრდილოეთით აზნაურის გიგო მურვანოვისა და შარა გზამდინ“.

იმავე წლის 1 სექტემბერს გიგო მურმანისშვლმა აქვე მიჰყიდა ადგილი იორდანე ლომიძეს: ,,ესე ნასყიდობის წერილი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ამისა ქვემორეთ ხელისა მომწერელთა, ქეფერში მცხოვრებელთა აზნაურმან გიგო მურმანის ძემ მურმანისშვილებმან და ძმამა ჩემა სანდრომა, დიმიტრიმა, იასონმა, კოტემა და ძმისშვილმა ჩვენმა იოსებმა, თქვენ, სურამში მცხოვრებელსა სახაზინო ყმას იორდანე ლომიძესა და ძმასა შენსა ანდროსა. ასე რომ მოგყიდეთ ჩვენი მამა-პაპადგან დარჩენილ[ი] სამკვიდრო ადგილი. ამ ადგილსა ეწოდება სახელი კლდის უბანი... აღმოსავლეთითა შარამდი, დასავლეთით წისქვილის რუამდინა და სამხრეთითა ჩვენგან მიცემული გიგოლა სილაქაძის მიდგმამდინა, ჩრდილოეთით ისევ ჩვენის მიდგმამდინა“.

კონცხი - ადგ., გორაკი.

ლომიასშვილის ნერგნალი - ადგ; იხ. ბაბიკავურის ვენახი.

მანანაური - ადგილი, სახნავი, სათესი. 1693 წელს ჩხეიძე ქაიხოსრომ, მისმა შვილემა თეიმურაზმა, სეხნიამ, პაატამ, ფარემუზამ, გორგასალმა და დავითმა მიჰყიეს კათალიკოზ იოვანე დიასამიძეს ,,...ნასყიდობის პირი და წიგნი მოგართვით თქვენ, კათალიკოზს დიასამიძეს ბატონს იოვანეს, ჩვენ ჩხეიძემ ქაიხოსრომ, შვილმა და ჩემა თეიმურაზ, სეხნიამა, პატამა, ფარემუზ, გორგასალ და დსავით, შვილთა და მამავალთა სახლისა ჩვენისათა ყოველთავე. ასე რომე ჩვენ დიდათ დაგეჭირათ მოგყიდეთ ჩვენი ალალი მიწა მანანაურის ბოლოს. ზეით იესეს ხოჯაურის სამნამდე, ქვეით პაპუაშვილის სამნამდე, აქეთ წყლამდი და იქით ძარამდი”.

მანაშერაშვილების ვენახი - ადგილი; XIX ს-ის 40-იანი წლების საბუთში დასახელებულია ტარიელ ხიდირბეგიშვილის მიერ გოგილა გძელაშვილისათვის მიყიდული ,,...ბარათში ნარგების ყმის მანაშერასშვილის ხახამ ისხაკას და იმის ძმის მანვახას... ვენახის“ ერთ-ერთ საზღვრად.

მანუაშვილის ნაფუზარი - ადგილი; დაფიქსირებულია 1759 წლის 12 ოქტომბერს ზურაბ მანუაშვილის მიერ მამასახლის გიორგი არუწაშვილისათვის ნაფუზარის მიყიდვის საბუთში.

მაცხონაშვილების წყარო - ადგ; წყარო

მეხრისული მიწა - ადგ; სახნავი. დაფიქსირებულია ზურაბ ნაცვლიშვილის მიერ ოსმანა თოფჩიაშვილისათვის 1728 წელს მიცემულ ნასყიდობის წიგნში:,,...ნასყიდობის სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ნაცვლისშვილმ[ა] ლასურისშვილმ[ა] ზურაბ, ჩემან ბიძაშვილმ[ა] ბეჟან შენ, თოფჩიასშვილს აბდულასა და ძმასა შენსა ოსმანას და შვილთა თქვენთა, მამავალთა სახლისა შენისათა. ასე რომე დაგვეჭირა და მოგყიდეთ მეხრისული მიწა. ზეით ნათიძის ბერას მიდგმამდის, ქვეითა ხუცის გიორგის მიწის მიდგმამდის“.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

სპორტის სამინისტრომ ახმეტის, თიანეთის, დუშეთის, ხაშურის, ქარელისა და გორის მუნიციპალიტეტების სპორტულ დაწესებულებებსა და კლუბებს ინვენტარი და ეკიპირება გადასცა

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებისთვის შეძენილი სპორტული ინვენტარისა და ეკიპირების გადაცემას აგრძელებს. ამჯერად ინვენტარი და ეკიპირება ახმეტის, თიანეთის, დუშეთის, ხაშურის, ქარელისა და გორის მუნიციპალიტეტებმა მიიღეს.

მუნიციპალიტეტებისთვის ინვენტარისა და ეკიპირების გადაცემას

საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე იოსებ ბაღათურია, პარლამენტის წევრი დიმიტრი ხუნდაძე, სახელმწიფოს

რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის რეგიონში დავით ნოზაძე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ვეტერანი სპორტსმენები და ადგილობრივი სპორტული ორგანიზაციებისა და კლუბების აღსაზრდელები ესწრებოდნენ. ინვენტარისა და ეკიპირების გადაცემას დაესწრო კარატეში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ევროპული თამაშების ორი ბრინჯაოს მედლის მფლობელი გოგიტა არქანიაც.

„მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელებისათვის ფინანსური დახმარებისა და სპორტის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამის " ფარგლებში 2023 წელს სამინისტროს თანამშრომლების ჯგუფმა 25 მაღალმთიან მუნიციპალიტეტში მწვრთნელებისა და მათი მოსწავლეების საჭიროებების შესწავლის მიზნით კვლევა ჩაატარა. მუნიციპალიტეტებში აღმოჩნდა სპორტული ინვენტარისა და ეკიპირების დეფიციტი და მწვავე საჭიროება, არსებული ინვენტარისა და ეკიპირების ნაწილი კი დაზიანებული იყო და შეცვლა სჭირდებოდა, ეს გარემოება კი ნეგატიურად აისახებოდა ვარჯიშებისა და წვრთნების ხარისხზე, ზრდიდა ტრავმების რისკს და აფერხებდა სპორტის განვითარებას.

მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე, მასობრივი სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით, სამინისტრომ მიმართა შპს „სპორტმშენსერვისს", რომელმაც შეისყიდა სპორტსმენთა შესაბამისი ეკიპირებისა და სპორტული ინვენტარი. სამინისტროს მიერ გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში 25 მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლებისა და დაწესებულებებისთვის, ასევე, სპორტული ფედერაციებისთვის კომპანიამ შეისყიდა 3 788 620 ლარი ღირებულების 8355 ერთეული სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი და ეკიპირება. აღსანიშნავია, რომ ეს პროექტი უპრეცედენტოა - მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში პირველად ჩატარდა საჭიროებების მონიტორინგი და

ამ რეგიონების სპორტულ ორგანიზაციებს ინვენტარი პირველად გადაეცა.

თითოეულ მუნიციპალიტეტს ინვენტარი და ეკიპირება გადაეცა სპორტული ორგანიზაციებისა და კლუბების ხელმძღვანელებთან

შეთანხმებით, მწვრთნელებისა და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით, კერძოდ: ა(ა)იპ სკოლისგარეშე სპორტულ-საგანმანათლებლო დაწესებულებამ - ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის კომპლექსურმა სპორტულმა გაერთიანებამ მიიღო ტატამები, საჭიდაო ხალიჩა, მაგიდის ჩოგბურთის მაგიდები, მაგიდის ჩოგბურთის ჩოგნები, კრივის ხელთათმანები, სავარჯიშო, საჭიდაო მანეკენები, მკლავჭიდის მაგიდები, ბაგირები, კროსფიტის თოკები, სავარჯიშო ბურთები, სავარჯიშო მძიმე ჟილეტები, ფეხბურთის ბადეები, მეკარის ხელთათმანები, კალათბურთის ბურთები, მაგიდის ჩოგბურთის ბურთი, სასწორები, გირები, ჰანტელები, კიმონოები, კრივის ტომრები, ლახტები; ა(ა)იპ სკოლისგარეშე სპორტულ დაწესებულებას - ახმეტის საფეხბურთო სკოლა ,,ბახტრიონს" ფეხბურთის ფორმები, სავარჯიშო რეზინები, ფეხბურთის გადასაცმელები, ფეხბურთის ბურთები, მეკარის ხელთათმანები, ფეხბურთის ბადეები და სასწორები გადაეცა; ა(ა)იპ-მა - სპორტულმა კლუბმა ,,თიანეთმა" მიიღო ტატამები, კალათბურთის ფარები, ქართული ჭიდაობის

ჩოხები, კიმონოები, ლახტები, ჭადრაკის დაფები, ჭადრაკის საათები, სასწორები, მეკარის ხელთათმანები, კრივის ტომრები, კრივის ხელთათმანები, კროსფიტის თოკები, ბაგირები, სავარჯიშო მძიმე ჟილეტი, კალათბურთის ბადეები, კალათბურთის ბურთები, ფეხბურთის ბურთები, ფრენბურთის ბურთები, ფეხბურთის ფორმები, სტადიონის მოსანიშნები, სავარჯიშო კიბეები, სასტვენები, სავარჯიშო რეზინები;

ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ გაერთიანებას გადაეცა ტატამები, მკლავჭიდის მაგიდები, კროსფიტის თოკები

, ლახტები, სავარჯიშო მძიმე ჟილეტები, მეკარის ხელთათმანი, შტანგა ფიცარნაგით, ჰანტელები, შტანგის ღერძები, შვედური კედლები, ორძელები, კიმონოები, ფეხბურთის ბადეები, ფეხბურთის ბურთი, სავარჯიშო რეზინები, ბაგირები, სასწორები;

ა(ა)იპ ქარელის მუნიციპალიტეტის სპორტული ორგანიზაციების გაერთიანებას გადაეცა შტანგის სიმძიმეები, ბლინები, შტანგის ღერძი, ჰანტელები, სავარჯიშო კიბეები, მეკარის ხელთათმანები, ბარიერები, ფეხბურთის ბურთები, ფეხბურთის გადასაცმელები, ფეხბურთის ფორმები, ფეხბურთის დაფები, მოედნის მოსანიშნები, კიმონოები, სავარჯიშო, საჭიდაო მანეკენები, სავარჯიშო მძიმე ჟილეტები, ნასოსები;

ა(ა)იპ სკოლისგარეშე სპორტულ-საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსურმა სპორტულმა სკოლამ მიიღო ორძელები, ტრენაჟორი, შტანგა ფიცარნაგით, ძალოსნობის ფეხსაცმელები;

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს გადაეცა უსაფრთხოების ლეიბი, ხელსაჭიდები და შტანგის ღერძი.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტებში სპორტულ ინვენტარს არა მარტო სპორტული ორგანიზაციების აღსაზრდელები, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, ასაკობრივი და ეროვნული ნაკრებების წევრებიც გამოიყენებენ. სპორტული ინვენტარი და ეკიპირება მუნიციპალიტეტებსა და ფედერაციებს ეტაპობრივად გადაეცემა.

ლესია უკრაინკას სახელობის მუზეუმ-ბიბლიოთეკის რეკონსტრუქცია დასკვნით ეტაპზეა

(დასასრული)

სააგენტოს დაფინანსებით შენობა სრულად დაიშალა და ახალი შენობის საძირკვლის ქვაბული მომზადდა. მეორე ეტაპის სამუშაოები - საძირკვლისა და სარდაფის კედლების ამოყვანა, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით იმავე წელს შპს „,ჯ.ს.ბ. საქართველომ" შეასრულა.

მეორე ეტაპის დასრულების შემდეგ, სამუშაოები კვლავ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ გადმოიბარა. სამუშაოების მესამე ეტაპზე, 2021 წელს, სააგენტოს დაფინანსებით გაკეთდა რკინა-ბეტონის კარკასი და დამზადდა გადახურვის ფილები. 2022 წელს, მეოთხე ეტაპის სამუშაოების შესრულების მიზნით, შემსრულებელი კომპანიის - შპს „,ჯ.ს.ბ. საქართველოს" მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო დადებული ხელშეკრულება სააგენტოს მხრიდან ცალმხრივად შეწყდა, რის შემდეგაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ 2023 წელს ხელახლა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი და მასში გამარჯვებული კომპანია შპს „მშენებელი" ამჟამად ასრულებს ბოლო ეტაპით გათვალისწინებულ სამუშაოებს.

სააგენტოს მიერ ძეგლის რეკონსტრუქციისთვის გამოყოფილია 1 969 425 ლარი.

ცნობილი უკრაინელი პოეტისა და მწერლის - ლესია უკრაინკას (ლარისა



კოსაჩი) სახელობის მუზეუმ-ბიბლიოთეკა 1952 წელს გაიხსნა. აქ დაცულია მწერლის შემოქმედებასთან დაკავშირებული მასალები: პოეტის კრებულები, ხელნაწერები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, ნუმიზმატიკური, ფოტო- და ეთნოგრაფიული მასალა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტურისტული ღირსშესანიშნაობები. კოდისწყაროს ტბა წლის ნებისმიერ დროს მშვენიერია. ა. სუთიაშვილის ფოტო.

ხაშურელ კალათბურთელთა წარმატება

2024 წლის 26 სექტემბერს ქალაქ გორში გაიმართა რეგიონალური ტურნირი 3x3 კალათბურთში, სადაც მონაწილეობას იღებდა კასპის, გორის, ქარელისა და ხაშურის გუნდები.

გაგაცნობთ შედეგებს:

ხაშური 21 -5 ქარელი;

კასპი 21 - 19 გორი.

3 ადგილი :

გორი 21 - 6 ქარელი;

ფინალი :

ხაშური 21 - 19 კასპი.

ვულოცავთ ხაშურის გუნდს გამარჯვებას და წარმატებებს ვუსურვებთ შემდეგ ასპარეზობებზე.

საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე პარტიების საყურადღებოდ!

„საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ და ასევე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების (2012 წლის 15 აგვისტო) შესაბამისად, 24 ოქტომბრის ჩათვლით, წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებისათვის, გაზეთში

„ხაშურის მოამბე“ გამოყოფილია ფართობი. კერძოდ: ფასიანი

რეკლამისათვის გაზეთის მე-4 გვერდი (988 კვ.სმ), უფასო რეკლამისათვის

კი გაზეთის მე-5 გვერდის ნახევარი (494 კვ.სმ.). ფასიანი რეკლამის შემთხვევაში, ერთი კვადრატული სანტიმეტრის ღირებულება შეადგენს 20 თეთრს (ერთი გვერდი - 197 ლარი და 60 თეთრი).

A3 და A4 ფორმატის ჩანართის შემთხვევაში (თუ ჩანართი გამზადებული სახით მოაქვს დამკვეთს და რედაქცია მხოლოდ ქსელში გავრცელების ვალდებულებას კისრულობს) კვადრატული სანტიმეტრის ფასია 15 თეთრი, ანუ A3 ფორმატის შემთხვევაში - 148 ლარი და 20 თეთრი, A4 ფორმატის შემთხვევაში - 74 ლარი და 10 თეთრი.

საფეხბურთო კლუბის-„ივერიის“ ვეტერანი ფეხბურთელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა „ივერიის“ ყოფილი ფეხბურთელი და უფროსი მწვრთნელი, ხაშურის ღირსეული მოქალაქე

ჯემალ მარკოზაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.